სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ქ. თბილისი 19 ოქტომბერი 2022 წელი

სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 18 იანვრის N 5 ბრძანების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისიის
ოქმი N 1

სხდომას ესწრებოდნენ:

სხდომას ესწრებოდნენ:
დავით ხვედელიძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
ია ძებისაური – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის უფროსი;
ნიკო გიგოლაშვილი – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების ჯგუფის უფროსი;
როსტომ თოლორდავა - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის მთავარი ბუღალტერი;
ზურაბი ხეცურიანი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების მენეჯერი;
ირინე სადრაძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების სპეციალისტი;

დღის წესრიგი:
1. სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება;
2. ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (NAT) ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცება.

განიხილეს:
სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა სატენდერო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისთვის 2022 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით კვებითი მომსახურების (CPV 55500000 - სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება, CPV 55521200 - საკვების მიწოდების მომსახურება) სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში მოძიებულ იქნა კომპანიები, ვისაც შესაძლოა ინტერესი გამოეხატა აღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით. ტელეფონით დავუკავშირდით 6 სხვადასხვა კომპანიას,

1. შპს „მენიუ MENIU“

2. შპს „ლუკა 2005“
3. შპს „ალიონი“
4. შპს „დენიმა“
5. შპს „ვერა 2005“
6. ი/მ ქეთევან ბრაგვაძე

აქედან მხოლოდ ორი კომპანია დაინტერესდა სატენდერო პირობებით და მათ დაეგზავნა კვლევაში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით შესაბამისი წერილი და დოკუმენტაცია. საბოლოოდ ბაზრის კვლევისას დაინტერესება გამოხატა ერთმა პოტენციურმა მიმწოდებელმა, რომელმაც წარმოადგინა შემდეგი ფასი:

ი/მ ქეთევან ბრაგვაძე - 96.00 (ოთხმოცდათექვსმეტი) ლარი დღგ-ს ჩათვლით;

პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა - 96.00 (ოთხმოცდათექვსმეტი) ლარი დღგ-ს გარეშე, ხოლო სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 15 000.00 (თხუთმეტიათასი) ლარს დღგ-ს გარეშე.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს სატენდერო დოკუმენტაციითა და განცხადებით განსაზღვრული პირობების ირგვლივ.

აზრი გამოთქვეს:

სატენდერო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი სახით სატენდერო განცხადება და დოკუმენტაცია მისაღებია.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია და განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ.

2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს ორი სამუშაო დღის ვადაში სატენდერო განცხადების და დოკუმენტაციის განთავსების უზრუნველყოფა www.procurement.gov.ge-ზე.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: დავით ხვედელიძე -

სატენდერო კომისიის წევრები:

ია ძებისაური -

ნიკო გიგოლაშვილი -

როსტომ თოლორდავა -

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ირინე სადრაძე -

ზურაბი ხეცურიანი -